წელიწადი მე-2-ე

ოთხშაბათი, 4 მაისი

საშობლო

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 კაპ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერელებს ქალაქის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი ტაეტის პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან კვანძიის გარეშე ძიღებულ განცხ. დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამკლოვიანი განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ტელეფონი № 76

№ 347 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 347

წლიურად გაზეთი ღირს 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხველოებს დაეთმობათ 6 მანეთად მასწავლებლებს 7 მ. წელიწადში.

რედაქტორი ი. თ. ციცვაძე. გამომცემელი ამხანაგობა „საშშბოლო“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „საშშობლოს“ რედაქცია
დიდის მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას
იროდიონ ევდოშვილის
უდროოდ გარდაცვალებას.

ი. ევდოშვილი

იროდიონ ევდოშვილი

მოკვდა... წავიდა! სიკვდილმა გული იჯერა და ერთი საუკეთესო წევრთაგანი კიდევ მოსტაცა ქართველ მწერალთა ოჯახს!..

ეჰ! სცვივა და სცვივა გულის გამ ხალისებელი ფოთლები ბებერ მუხას!..

ერთი ერთმანეთს მისდევენ საუკეთესო მოამაგენი ჩვენის ქვეყნისა, ჩვენის ხალხისა!.. ილია... აკაკი.. ვაჟა... ახლა ევდოშვილიც!

თავსბრუ მესხმის. გული მიკვნესის! ნუ თუ სულ უნდა გავერანდეს, სულ უნდა გაჩანაგდეს აბიბინებული ყანა ქართულის მწერლობისა? ბედო, შავბედო! რას გვიშვრები, ან რას გვიქადი?

მაგრამ რას ვამბობ? წუწუნი და ცრემლთა ღვრა მხოლოდ ლაჩართა წესიაო—ხშირად უთქვამს ჩემთვის თვით ირ ოდიონს და აი, ახლა, როცა გული ისე მტკივა ირ ოდიონის დაკარგვით, თითქოს მარწუხებს მიჭერდენ და ცრემლებისგან თვალები ისე მებლარდება, თითქოს ვბრმავდებოდე—მინდა ჩემის სიყრმის მეგობრის გაცივებულ გვამს შევსძახო:

— „ვინც მოკვდა, თავსა მოუკვდა, ჩემო ირ ოდიონ. სოფელი კი ღონიერია“!

დიაღ, ვინც კვდება მხოლოდ „თავის თავს უკვდება“. და შეიძლება დიდი ბედნიერებაც მოსდიოდეს, რადგან ველარ იხილავს, ველარ იგრძნობს, ველარ განიცდის სიგლახესა ამ ვერაგ წუთისოფლისას... ულირსთა საგინებელი და სათრევი აღარ იქნება!

შენც, ჩემო მეგობარო, მხოლოდ შენს თავს მოუკვდი, მხოლოდ შენს ოჯახს მოუკვდი, მხოლოდ შენს მახლობელთ მოუკვდი—ფიზიკურად, პირად-მეობით!

ამიერიდან ველარ ასწავლი შენს წილ-შვილს ჰანგებს ბრძოლისას უსამართლობასთან!

ამიერიდან შენის ცხოვრებით ველარავის დაუმტკიცებ, რომ არა მარტო პურითა ცოცხალ არს კაცი!

ამიერიდან ზიზღით ველარ შეხედავ ქვეყნის ორგულთ და მედგრათ ველარ დასჭყივლებ თვალთმაქცებს:

— ნიღაბი ჩამოიხსენით, უკეთურნო, და თვალი პირდაპირ გამისწორეთო! – თორემ...

შენ მკვდარი არა ხარ შენის ქვეყნისათვის, მშრომელი ხალხისათვის, ქართველი ერისათვის!..

ღონიერი სოფელი ჩვენი მტკიცე ნაბიჯით ივლის შენგან გაკვერილ გზაზე და, როცა მიაღწევს რჩეულთაგან დახატულ იდეალებს, მოვა შენს დანაცრებულ ნეშტთანაც და საფლავში ჩამოგძახებს:

— გიხაროდენ! სიტყვა შენი საქმედ იქცა და გაღვიძებულმა ხალხმა მონობისა და უსამართლობის ბორკილები მილეწ მოლეწაო!

ნეტარება იმ დღის მომსწრეთ, ნეტარება მაშინ შენს ჭაბუკურ სულსაც, ვინაიდგან იმ დღემდე სული შენი კვლავ იკვნესებს საქართველოის მთა-ველად და მხოლოდ, იმ დღეს მოისვენებს მოსვენებითა დაუსრულებელითა!..

I

თბილისის სემინარიის მესამე კლასში ვიყავ, როცა ირ ოდიონი შემოვიდა ამავე სემინარიის პირველ კლასში.

ჯერ ახლაც.. ახლა, როცა საქართველომ მთელ რუსეთთან გადაიტანა დიადი მოძრაობა ხალხისა. ახლაც, როცა ამ მოძრაობამ შეამტვრია ყველა სახელმწიფოებრივისა თუ კერძო საზოგადოებრივ დაწესებულებათა და მათ რიცხვში სასწავლებლების დახშული კარები; ახლაც, როცა დიდსა და პატარას დემოკრატიული, ხალხოსნური პრინციპები პირზე გვაკერია; ახლაც, როცა უკიდურესი რეაქციონერი და ბატონყმობის ღვიძლი შვილიც კი გარეგნულად მაინც მოილიბერალებს; ახლაც, როდესაც ამავე დემოკრატიზმის სახელით გლახა მოწაფეც კი კარგ მასწავლებელს ჭკუას არიგებს და ყოველად უვიცი, ხეპრე, ამხანაგის გაუტანელი, უზრდელი და უწვრთვნელი ვინმე ცხოვრების გეგმას გიხატავთ; ახლაც მეთქი, როცა ჰაერშიაც კი დემოკრატიული, ხალხოსნური სული და მისწრაფება-იდეალი ტრიალებს—ჯერ ბევრს ჩვენში სახელოვან პედაგოგათ ცნობილს, მოღვაწეთა რიცხვში ჩარიცხულს, ქართველ მწერლად მონათლულსა და ამა თუ იმ ჯგუფის კერპად აღსარებულ მასწავლებელსაც კი ვერ წარმოუდგენია მოწაფეთა გაწვრთნა ისე, თუ ეს გაწვრთნა არ მოხდა სამინისტროისა თუ რომელიმე კრებულისაგან გამოცემულ დახავსებულისა და დროგადასულ პროგრამით, ჯერ ახლაც მეთქი – ბევრ გამოყრუებულ პედაგოგს პარაგრაფიდან პარაგრაფამდე გაკბილვა გაკვეთილისა უაღრესი პედაგოგიური სიბრძნე ჰგონია და თვით მოწაფეებიც ვერ გასცილებიან სასწავლო საგნების უაზროთა და უკეთურად გაკბილვას, და ახალი ჯურისა და დროის შესაფერი გაკვეთილები გაზეთში ამოკრებილი ჭორები ჰგონიათ“, რაღა იქნებოდა აზრი და შეხედულება მასწავლებლებისა და მთავრობისა ამ ოცდა რვა—ოცდა ათი წლის წინად!.

ჯერ ახლაც მეთქი ჩვენი სასწავლებლები წვალების ქურები უფრო არიან, ვიდრე მომავალ თაობის გაწვრთნა—აღზრდის ტაძრები და მაშინ ხომ სკოლა ჯოჯოხეთი იყო, ნამეტნავად სასულიერო სასწავლებლები.

აქ სუფევდა ნამდვილი ბატონყმობა, ნამდვილი პოლიციურ-ჟანდარმული სული!

არც წიგნები—გარდა ყოვლად უვარგისისა და ნება დართულისა, არც თეატრი, არც გაზეთი, არც კრებები, არც მისვლა მოსვლა, არც მამაშვილური მოპყრობა, არც ძმური სალამი, არც გაღიმება და წახალისება, არც თავის გაყადრება, არც მოქალაქეობრივი იდეალი, არაფერი ასეთი არ არსებობდა ჩვენთვის.

ყვირილი, შტიალი, ლანძღვა-გინება, გამორიცხვა, ჯაშუშობა, დედაენის დევნა, წმინდათა წმინდის შეგინება და გონებით დაჩლუნგება, ერთის მხრივ, ლოთობა და გარყვნილება მეორეს მხრივ—აი, რეჟიმი მაშინდელის სკოლისა, უფრო კი ჩვენის სემინარიისა.

—იუჰუ ჯეშ! აი ეს იეზუიტური პრინციპი მაშინდელის აღზრდისა.

მაგრამ, რაც უნდა დაჰკეტოთ, დაახშოთ, დაჰგულოთ ოთახი, ცხრათვალა მზე რომელიმე ჯუჯრუტანაში შემოაპარებს ერთ ერთ სხივს მაინც! ასეთ სხივად გადაიქცა ჩვენთვის მოწაფეთა არალეგალური წრეები ხელთ-ნაწერი ჟურნალები.

მიუხედავად ყოველივე სისასტიკისა და დევნისა, ეს წრეები მაინც ახერხებდენ ურთიერთობას, აზრების გაცვლა-გამოცვლას, საკითხავ წიგნების შოვნას.

წრეები: ნოე ჟ—სი, ფ მ—ძისა, მიხა ცხ—ისა, ხელთ ნაწერი ჟურნალები მეხუთისა და მეექვსე კლასების,—მეორე, არალეგალურ, მაგრამ ნამდვილ აღმზრდელებათ გადაიქცენ.

გარეგნულად თითქოს არავითარი სიცოცხლე არ იყო სემინარიაში. მოწაფეები ჭირიანი ინდოურებივით დავყიალებდით. ბევრი ძალიან ბევრი ახალგაზდაც დაეცა სულით, გულით, ზნეობით, ბევრი გაუბედურდა კიდეც გულის თქმითა თუ აზრით, მაგრამ, ვინც კი გაბედავდა ხოლმე ამ წრეებში ჩაწერვასა და ამ ჟურნალებში თანამშრომლობას, ის უკვე ადგებოდა „ცხონების“ გზას და მისთვის გარეგნული რეჟიმი სემინარიისა მხოლოდ შეგუბებული ჰაერი იყო, რომელიც უნდა გაერღვია ძლიერს მეხს სამართლიანობისას!

თითოეული წევრი ამ წრეებისა თავის თავს მომავალი ბრძოლის ჯარის კაცად სთვლიდა და ღირსეულადაც ემზადებოდა.

ყოველი ახალი წიგნი, ყოველი ახალი აზრი, ყოველი ახალი პიესა, ან რამე ხალხოსნური მოვლენა – არ გამოგვეპარებოდა.

წიგნებს ვშოულობდით პატივცემულ ზ. ჭ—სთან, გაზეთებს მოჰქონდათ გარედან მოსიარულე მოწაფეებს (მე პანსიონში გახლდით) ხელმძღვანელობას გვიწევდენ გამოცდილი და დახელოვნებული უფროსი მოწაფეები...

დღისით „ვზუბრავდით“ გაკვეთილებს, ღამე-კი, როცა ღამე გატყდებოდა ხოლმე, ასე ნაშუაღამევს შევიკეტავდით ხოლმე კლასის კარებს, მოვადგამდით პარტებს და ფაცი-ფუცით ვადგენდით „სახვალიო ჟურნალს“.

დიდი თვალყურის დევნება გვქონდა! ჩვენი ზედამხედველები აუარებელ ჯაშუშ მოწიფეების დახმარებით ნამდვილი „სიშჩიკები“ იყვნენ, შეუბრალებლადაც გვექცეოდენ, მაგრამ მაინც ნათელი აზრი არ კვდებოდა სემინარიაში.

ირ ოდიონიც იმ თვითვე ერთგული წევრი შეიქმნა ერთ ერთი წრისა. მე პირველად იგი გავიცანი ლადო—შვილის ბინაზე 1888 წლის სექტემბერში (ახლად შემოსული იყო სემინარიაში) და იმ დღიდან ჩვენთან ერთად მუშაობდა.

ქიზიყელები, საზოგადოდ, ამაყი, უკმეხი და კერპი ხალხია ირ ოდიონიც, როგორც ქიზიყელი, დიდი ამაყი ახალგაზდა იყო. მაგრამ, თავისის ნიჭისა და გამბედაობის მეოხებით მალე დაიმსახურა ამხანაგების ნდობა და სიყვარული

გძელი ისტორიაა ჩვენი მოწაფეობის ისტორია და ახლა ვერც მომახერხებია მისი დაწერა: ხელები მიკანკალებს... ცოდვა არარის ირ ოდიონის მკვირცხლი თვალები ახლა დახუჭული იყოს?!

ეხ, შე ოხერო წუთისოფელო!..

II.

1893 წლის ნოემბრისთვის სემინარიელების მოთმინების ფიალა აისო და აი, პირველ დეკემბერს, სემინარიის ცხოვრება წამოპირქვევდა! მოხდა არეულობა, რომელმაც თავზარი დასცა ჩვენს უფროსებს. ამასაც თავისი გრძელი და საყურადღებო ისტორია აქვს და იქნება როდისმე მეღირსოს თავისუფლად აღწერა მისი ახლა კი მოგახსენებთ რა მოჰყვა შედეგათ ამ აჯანყებას.

ეს შედეგი გამოიხატება სულ ორ სიტყვაში: ექვსას- შვიდასი მოსწავლე ისე დაგვფანტეს, როგორც ქორი დაჰფანტავს ხოლმე კრუხ-წიწილს, შეუბრალებლად დაუზოგავად! სემინარია ერთის წლით დაჰკეტეს

ჯერ ეხლაც ნაკლებ ყურადღებას ადევნებენ დედმამანი თავის შვილების ყოფას სასწავლებლებში და მაშინ ხომ საბრალო ჩვენი მშობლები სულ მუცლით ხოხავდენ და შებრალება-შეწყალების ცრემლებს აფრქვევდენ...

აჯანყების მსხვერპლი შეიქნა ირ ოდიონ ევდოშვილიც იგი გამორიცხეს მესამე კლასიდან.

1899—902 წლებში მოხდა ერთგვარი გაყოფა, განცალკევება ახალ გაზდობის, იდეურის მხრით. ერთი ჯგუფი დაადგა წმინდა მარქსისტულ გზას, მეორე კი დარჩა ეროვნულ დემოკრატიულ ნიადაგზე. ზემო დასახელებულ წლებიდან ვიდრე 1907 წლამდე ევდოშვილი იყო ერთად ერთი დიდი და თავგამოდებული მგოსანი „პროლეტარიატისა“, თუმცა 1905 წლის განახლებულ „ივერიაშიც“ მუშაობდა ჩემთან ერთად....

ამ გვარად, დღიდან დაჭაბუკებისა კუბოს ფაცრამდე ირ ოდიონს კალამი არ გაუგდია ხელიდან და ყოველთვის მებრძოლთა პირველ რიგში იდგა სიტყვით, თუ საქმით.

თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ სხვათა შორის ევდოშვილის ლექსებს უნდა უმადლოდენ „დასელები“, თუ მათმა გავლენამ ასეთი დიდი ასპარეზი მოიპოვა ჩვენში.

მე ახლა არ შევუდგები ირ ოდიონის პოეზიის დაფასებას, მისი ნიჭის აწონ-დაწონვას. ვიტყვი მხოლოდ, რომ არც ერთი, არამც თუ დიდი ქარხანა, არამედ უბრალო სახელოსნოც კი არ მოიპოვებოდა, რომ მისი ლექსები ათში ხუთს მუშას მაინც ზეპირად არა სცოდნოდა.

1907 წელს, ამ ყოვლად უბედურს და სიმარცხვინო წელს, რომელ წელსაც მოვკალით ილია, ევდოშვილის სამწერლო მოღვაწეობაში დადგა ახალი ხანა, ხანა საერო, საქვეყნო სამსახურისა...

ამ წლიდან, თუმცა მისმა ნიჭმა უფრო მძლავრად გაშალა ფრთა, იგი უარყოფილი შეიქმნა იმ ჯგუფისაგან, რომელსაც შესწირა თავის სიყმაწვილისა და ჯანსაღობის უკეთესი წლები და „რენეგატად“ იქმნა გამოცხადებული.

რამდენად სამართლიანია ასეთი მოპყრობა მისდამი, რომელი ჯგუფის მხრიდანაც უნდა იყოს ეს მოპყრობა-ეს ისტორიის საქმეა, მაგრამ დღეს კი არ შემიძლია გულის ტკივილით არ აღვნიშნო ის სამწუხარო მოვლენა, რომ ჯერ ერთი სიტყვითაც კი არ მოუხსენებიათ ეს ტანჯული მგოსანი მის ამხანაგებად ნამყოფებს. (იხ. „თანამედ. აზრი“, 3 მაისის თარიღით.)

უსამართლობავ! სად არის საზღვარი შენი და ჯგუფობანავ, როდის დაიმსხვრევი შენ?...

1909 წელს ირ ოდიონი თფილისში დააპატიმრეს და, დიდხანს ციხეში ჯდომის შემდეგ, გადაასახლეს რუსეთის ერთ ციხსა და შორეულ გუბერნიაში (ვოლოგდაში). აქ იგი გაცივდა, დაავადმყოფდა და თუმცა 1913 წელს კვლავ დააბრუნეს სამშობლოში, მაგრამ აღარ უხეირნია

იმ დღიდან ამ დღემდე იხავ-ხავა, იხავხავა საცოდავმა და სხვის სამოწყალოდ დაშთენილმა მგოსანმა გუშინ კი განუტევა ძლიერი სული!

რა ეშველება მის ყოვლად უმწეოდ დაშთენილ ცოლშვილს, ან რა მსჯავრს დასდებს მას ქართველი ხალხი, ამას მომავალი დაგვანახვებს..

მე კი მინდა ასე დავამთავრო ეს ჩემი სახელდახელო წერილი.

— ირ ოდიონ! ჯოჯოხეთი იყო შენთვის ქვეყნიური ცხოვრება, მაგრამ ვერ გატეხა მან შენი ძლიერი სული.

პირნათლად წარსდეგ ჩვენის ქვეყნის მოამაგეთა წინაშე და დაარწმუნე რომ, როცა დაიწმინდება ამღვრეული წყალი ჩვენის ყოფნისა, არც ერთი შავი ზოლი არ დაიჩნდება უმანკო სულთა უმანკო ამონაკვნესს და...

შენც მათ შორის იქნები, ჩემო მეგობარო!

ია ეკალაძე.

მსოფლიო ომი.

(დღიური).

კავკასიის ასპარეზზე უკვე დიდი ბრძოლები დაიწყო. 1 მაისს ოსმალებს აშკალას მიდამოებში რუსის ჯარზე ძლიერი იერიში მოუტანია, რასაც შედეგათ მოყოლია რამდენიმეთ რუსის ჯარის უკან დახევა. ამ რიგათ გამართლდა ხმები, რომ ოსმალნი კავკასიის ასპარეზზე მოქმედების დასაწყებად დიდ მზადებაში იყვნენ. მესოპოტამიაში რუსებმა რევანდუზა აიღო. აქ ბრძოლის შესახებ არავითარი ცნობა არ არის, „ყველ შემთხვევაში მესოპოტამიაში დიდი შემოტევაა მოსალოდნელი, მაგრამ ეტყობა, ოსმალეთის შტაბი ახლა უფრო დაკვირვებით და ფრთხილათ სდგამს ნაბიჯებს, რაიც გერმანელების გავლენითაც უნდა აიხსნას ერთი სიტყვით, აწ უკვე გაჩაღებული კავკასიის ბრძოლის პირზე თანდათან ფართო ხასიათს მიიღებს და ამ მოკლე ხანში ჩვენ უთუოდ დიდი ამბების მოწმენი გავხდებით.

რუსეთის ასპარეზზე დიდი ცვლილება არ მომხდარა. გერმანელებს შემოტევისათვის აქ ერთი ადგილი ჯერ არ ამოუღიათ მიზანში ხან ოგლინთან უტევენ და ხინ რიგა დვინსკთან. რაიც ამტკიცებს იმას, რომ გერმანელებს სცდილობენ რუსის ჯარი დაქსასონ და შემდეგ მოუოლოდნელათ იქ შეუტიონ, სადაც მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნება.

ვერდენთანაც მდგომარეობა ბევრად არ შეცვლილა გერმანელები კვლავ ძველის სიმძაფრით უტევენ ფრანგებს მორტომ კიუმერის მიდამოებში. ბრძოლა განვითარებულია აგრეთვე ავაკურის ტყესთან, სადაც გერმანელები მეტად მოიღალნენ ვერდენთან ბრძოლაში, აწ იერიშებს აღარ აწარმოებენ და მოგერიებითი ბრძოლაზე გადავლენო — არ გამართლდა. პირიქით, გერმანელები ახლა უფრო თავგანწირულად უტევენ ფრანგებს. ასე, რომ ამ მოკლე ხანში საფრანგეთის ასპარეზზეც დიდი ამბების მოლოდინში უნდა ვიყოთ.

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

1 მაისი.

დასავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. ოფიციალი დასავლეთის ასპარეზი. დასავლეთით ოლიკის მიდამოებიდან რუსის არტილერიის ცეცხლმა მტრის ზარბაზანი ააფეთქა. შუა სტრიპაზე მტრის რაზმები შეეცადენ რუსის თხრილებს მოახლოვებოდენ, მაგრამ რუსის ჯარმა გაჰფანტა; ხელთ ვიგდეთ ტყვეები.

კავკასიის ასპარეზი.

ბაიბურთის მიმართულებით მტრის იერიშები მოვიგერიეთ და ძლიერაც დავაზიანეთ. ერძინჯანის მიმართულებით, აშკალის მიდამოებში, მტერმა ძლიერ ჯარს მოუყარა თავი და იერიში მოიტანა, მკაცრი ბრძოლის შემდეგ, რომელიც მთელი დღე გრძელდებოდა, ზოგიერთ ადგილებში მტერმა შესძლო რუსის ჯარის უკან დახევა; მტერი აქ ძლიერ დაზიანდა და იძულებული გახდა შეტევა შეეჩერებინა. მოსულის მიმართულებით რუსის ჯარმა მესოპოტამიაში რევანდუზას მიდამოები დაიპყრო. დამარცხებულმა მტრის ჯარმა დახევის დროს 3 ზარბაზანი, მრავალი თოფ-იარაღი და ერთი რაზმის კანცელარია დასტოვა.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

1 მაისი.

საფრანგეთის ასპარეზი

პარიზი. არგონებში ფილსი მორტთან ჩვენ ავაფეთქეთ ორი ნაღმი, რომელმაც გაანადგურა გერმანელების თხრილები. ვერდენის რაიონში დრო გამოშვებით ხდებოდა ბრძოლა ქვეითა ჯარის შეტაკება არ მომხდარა. დანარჩენ ადგილებში დღემწყნარად ჩაიარა.

ბელგიის ფრონტზე.

ჰავრი. ცოტა ხნის სიწყნარის შემდეგ დიქსმიუდეს გარშემო კვლავ გაჩაღდა საარტილერიო ბრძოლა. სხვა ადგილებში საყურადღებო არაფერი მომხდარა.

სტამბოლი. ბუქარესტიდან იუწყებიან: სტამბოლში ბულგარეთით ყოველ დღე მიდის სხვადასხვა სამხედრო მასალა, გერმანელების თანხლებითო.

ინგლისის ასპარეზი.

ლონდონი. გუშინ ღამ მერიკურესთან მტერმა სამჯერ მოიტანა იერიში, მაგრამ სამჯერვე მოვიგერიეთ. ბრძოლის პირზე ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა. ჰოჰენლინლერნთა რედუტთანა ენტელუკს, კარანსტსა, გიქსირისა და ვეიტოსანის მიმართულებით გერმანელები სანაღმო ბრძოლას აწარმოებდენ.

იტალიის ასპარეზი

რომი. ტრეტინოს რაიონში მტრის ჯარის დიდი მოძრაობაა რასაც ჩვენი არტილერია საკმაოდ უშლის ხელს საარტილერიო შეტაკების დროს რამდენიმე დიდი შენობა დაინგრა სანჯიონოში. ბიზინელთან ჩვენ მტრის მოწამლულ ტყვიების საწინააღმდეგო მავთული მოვაწყვეთ. ზოგიერთ ჩვენს ბარაკს მტრის არტილერიამ ცეცხლი წაუკიდა. ჩვენი ჯარის თავზე რამდენიმე მტრის ჰაეროპლანი გამოჩნდა და ანჯიანოს რაიონში ყუმბარები ჩამოყარა, შემდეგ ისინი ჩვენმა არტილერიამ გარეკა.

პარიზი. (დღის ცნობა) რიგის ჩრდილოეთით ლოკის ტყესთან ჩვენ მოვიგერიეთ მტრის თავდასხმები. ვერდენის რაიონში ღამით მორტომთან მკაცრი ბრძოლა ხდებოდა. სხვაგან სიწყნარეა.

იროდიონი.

მიიცვალა იროდიონი.

ხორციელება მისი გადაეცა მშობლიურ მიწას. მებრძოლმა სულმა კი, დასწერა ფურცელი სიყვარულისა განახლებულ საქართველოს სადიღებლად. უერთგულა მ ნ თავის ქვეყნის სიყვარულს მოკლე სიცოცხლით.

დასწნა გვირგვინი ყვავილების ველთა დაკრებით. და მიუძღვნა იგი ქართველსა დედას. საქართველოს სიყვარულით სძგერდა გული მისი სიჭაბუკეში ვაშკაცური სიცოცხლის უკანასკნელი დღეები მას ანაცვალა.

მგოსანი იგი, მებრძოლი სულით, ამაღლდა ცამდის.

ქართველი ერი დადაფნავს მას სიყვარულის ვარდ-ყვავილებით ცრემლს არ აკადრებს, მას რადგან, ამას იუკადრისებს მებრძოლი იგი და განაცხადებს.

„ნუ შედრკება თქვენი გული-“ოგასწით წინ საუკეთესო მომავლის შესაქმნელად, მხოლოდ გასალკდევება არის საჭირო და არა ცრემლები-ო.“

ჩვენი ვალია მისი კუბო მოვრთოთ ვარდ-ყვავილებით; ჩვენი ვალია განსასვენებლად, თავის ქვეყნის ზურმუხტოვანი მდელო მივუჩინოთ რადგან იგი:

„ველარ გავა ვერც მინდორზე
რომ უყვარდა მთა ზურმუხტი,“

და უყვარდა მას მთა ზურმუხტი ყვავილოვანი და მიესვენება იგი ხავერდოვან მკერდს თავის ქვეყნისას. დაწყლულებულს გულს, ბრძოლით მოქანცულს, მიაყრდნობს მშობლიურ მიწას და ანდერძს თვისას გადასცემს ახალგაზდურ სულს საქართველოისას.

განახლებული საქართველო იგრძნობს მის გულისტკივილს. და შეიყვარებს მას ვითარცა მერცხალს გაზაფხულისას ბრძოლისა და თავისუფლების გაალმასებულ ხმაზე წახალისებით ახმატკბილებულს.

ლადო მაჭავარიანი

ხუთშაბათს, 5 მაისს, ნაშუადღევის 5 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

ელენე ვასილის ასულის ჩიხლაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ღრმა მწუხარებასა შინა მყოფნი ქმარი მისი დიანოს ივანეს ძე ჩიხლაძე და ძენი და ასულნი მისი: ალექსანდრე, ვალერიანე, ანნა, ვერა და ბაბილინა. 1—1—258

შაბათს, 7 მაისს, ს. ასკანაში მთისპირის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი კავკასიის ასპარეზზე მოკლულ **პორუჩიკის**

აკაკი კაპიტონის ძე ასათიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და ნაცნობთ განსვენებულის მშობლები: ნინო და კაპიტონ ასათიანები, დები: გოგილია და ელენე, ძმები: გიგო ვალერიანი, ვანო და რძალი მარო ასათიანისა, მამიდა ქსენია ბერეჟიანისა, ბიძა - ნიკო ასათიანი, ბიძაშვილები: ანტანინა, პლატონიდა და ალექსანდრა ასათიანები.

(1—159—1).

სამგლოვიარო წერილი.

მრავალტანჯულ ქართველ ერს კიდევ დაეკარგა ერთი უუნიჭიერესი მგოსანი: იროდ. ევდოშვილი აღარა გვყავს! უსაზღვროა ჩვენი სულიერი ტრაგიზმი მით უმეტეს დღეს, რადგან სწორედ დღეს იჭედება მომავალი ბედისწერა ქართველი ერისა. სწორედ დღეს გვჭიროდა ისეთი ენერგია დაუშრეტელი ადამიანები, როგორიც იყო ჩვენი საყვარელი ი. ევდოშვილი. სწორედ დღეს იყო პირადად მისთვისაც მიუცილებლად საჭირო და სატრფიალო თავის თვალით ენახა ის, თუ როგორ დამთავრდება ჩვენთვის ეს საბედისწერო ომი: თან გადავყვებით ამ ეროვნულ ძშობიარობას თუ ვეწევით ჩვენს სანუკვარს იდეალებს. აი, სწორედ ასეთს მომენტში ი. ევდოშვილის დაკარგვა უფრო აორკეცებს და აასკეცებს ჩვენს მწუხარებას, მაგრამ ისედაც დამწუხრებულს ჩვენს ერს ვუსურვებთ სულიერ მხნეობას, ხოლო ძვირფასი ადამიანის ხსოვნა ძვირფასი და სამარადისო იქნება ჩვენს ჯერ გაუშლელ მაგრამ ახალგაზდურ სიყვარულით აღსავსე გულში.

კ. მისაბიშვილი.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ახალი ზელანდია.

როგორც ვიცით, დღიდან ომის დაწყებისა ზელანდია ინგლისს ეხმარებოდა. ამჟამად ცნობაა, რომ ზელანდიამ ინგლის—საფრანგეთის ასპარეზზე ახალი ჯარები გაგზავნაო.

ოსმალეთი

ოსმალეთში ჯარის განწყვეტელი გადაყვან—გადმოყვანაა. ევროპის ნაწილიდან ჯარი სულ აზიაში გამოგზავნეს. ყოფილი სულთან აბდულ ჰამიდი, რომელიც ამჟამად ანგორაში იმყოფება, არსებულ მდგომარეობას მეტად სკეპტიკურად უცქერის.

პასუხი ნოტაზე.

გერმანიის უკანასკნელ პასუხს ამერიკის ნოტაზე, შეთანხმების სახელმწიფოებში სიხარული გამოუწვევია, იგინი დარწმუნებული არიან, რომ გერმანია მართლა შესწყვეტს საკაპრო და უიარაღო გემების წინააღმდეგ ბრძოლას.

კავკასიის ასპარეზი

რადგან ოსმალონი არაჩვეულებრივ ინტენსივობას იჩენენ კავკასიის ასპარეზზე და დიდძალ ძალებს უყრიან თავს რუსების საწინააღმდეგოთ, ამიტომ შესაძლებელია რუსის ჯარმა არზრუმ—ტრაპიზონის დამხობის შემდეგ წინსვლა შეაჩეროს.

მესოპოტამია.

აზიის ასპარეზზე დიდი ყურადღება ექცევა მესოპოტამიას. აქ ბრძოლა თანდათან მკაცრ ხასიათს ღებულობს, ოსმალებს აქ ასი ათასიანი არმია ჰყავთ, საკმაოდ შეიარაღებული და ჩაცმულდახურული. ჯარს მთავარ ხელმძღვანელობას ფონ ლიმნ სანდერს ფაშა უწევს.

ავღანისტანი.

ავღანისტანში რუსეთისა და ინგლისის საწინააღმდეგო აგიტაცია თანდათან ვითარდება.

გენერალისიმუსი ჟოფრი.

საფრანგეთის გენერალისიმუსი ჟოფრი თანდათან უკეთეს გუნებაზე დგება და იმედი ემატება. როგორც ვიცით, ამ უკანასკნელ დროს მარსელში რუსებმა ჯარი გადასხეს ამას იმდენათ აუღფრთოვანებია ჟოფრი, რომ ეგი ახლა აშკარად აღიარებს ბრძოლის სასურველად დამთავრებას და გერმანელების „მოტეხას“. ერთი უმთავრესი ნაკლი საფრანგეთისა დღემდის ჯარის სიმცირე იყო. დღეს კი ფრანგებს ეშველებიან: რუსები, აღმოსავლეთ აფრიკის ჯარი, ინდოეთის რაზმები და ალჟირ—ტუნისელები.

ნორვეგია.

ტყვილი გამოდგა ის ხმები, თითქოს ნორვეგია-შვეციის შორის დამოკიდებულობა გამწვავებულ იყოს.

შვეცია.

შვეციამ აკრძალა ხორბლის გაზიდვა. აქტივისტები შეუჩერებლივ მოქმედებენ. ალანდიის კუნძულების საკითხის შესახებ კვლავ დიდი კამათია

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

დღეს, საღამოს ექვს საათზე, შავი ქვის საბჭოს დარბაზში, ქუთაისის ქართველი სტუდენტობა გამართავს მოლაპარაკებას იროდიონ ევდოშვილის ხსოვნის აღსანიშნავად. სთხოვენ ყველა ქართველ სტუდენტებს კრებას დაესწრონ.

✦ გუშინ, დილით, ქუთ. ფქვილის მოვაჭრე მიხ. მოშიაშვილმა მიიღო სამი ვაგონი პურის ფქვილი. საღამოთი მოელოდა 7 ვაგონს, რომელიც, დეპეშის ცნობით, ყვირილის სადგურზე იყო მოტანილი ამის შესახებ გუშინვე შეიკრიბა ქალაქის თვითმართველობის საოჯახო კომისია, რომ ამ ფქვილზე დაედგინა ახალი ნიხრი. მოშიაშვილი ამ დღეებში მოელის კიდევ 10 ვაგონ ფქვილს.

✦ ქალაქის გამგეობამ უწყება გაუგზავნა მთის უბნის მოქაულს დაუყონებლივ მიიღოს ზომები ლევაშოვის ქუჩაზე ქვაფენილების შესაკეთებლათ.

✦ **აპარელთა პროცესი** სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენეთა ფრაქციის წევრები: კრივცოვი, ვიშნევსკი და შეჩკოვი აპარელთა პროცესით დაინტერესდნენ და 30 აპრილს საქმის გარჩევას დაესწრნენ.

✦ სამიტროპოლიტოების შემოღების მაგიერ ესინოდი განიხილავს ალია დააარსონ, რამდენიმე საეგზარხოსო კათედრა. ეგზარქოსები ადგილ-ადგილ ყვანონ მაზრებში და რამდენიმე მაზრა დაუქვემდებარონ ერთ ეპისკოპოზს.

✦ პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს ქუთაისიდან შემდეგი ინაარსის დეპეში გაუგზავნეს: „ადგილობრივი საქველმოქმედო საზ. სახელოსნო განყოფილებით ხსნის ომში დაღუპულ ჯარისკაცთა შვილების მოსათავსებლათ თავშესაფარს, რომელშიაც განზრახულია მიიღონ 30 ბავშვი. ასეთი თავშესაფარი მხოლოდ ერთია გუბერნიაში.

✦ სახელმწიფო კანტროლის თბილისის განყოფილება სთხოვს ქუთ. ქალაქის თვითმართველობას, გაუგზავნოს იმ მოსამსახურეთა სია, რომლებიც ირიცხებიან სახელმწიფო სამსახურში. მათი ჯამაგირი დაწყებული 1914 წ. 1 იანვრიდან 1 იანვრამდე 1916 წ. ყველა წლის ცალ-ცალკე და ყველა ეს უნდა გამოიგზანოს, ისე, როგორც ამას ითხოვს სამოქალაქო დეპარტამენტის 12 სექტ. ცირკულიარი. უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ცნობები: ა) თანამდებობის სახელწოდება და პირების სია; ბ) დრო, თუ როდის შესულან ისინი პირველათ სამსახურში, გ) წლიური ჯამაგირი. როგორც ძველი, ისე ახალი. სამართველო ამასთანავე სთხოვს გამგეობას ასეთი ცნობები გაიგზავნოს პერიოდიულათ ყოველ ნახევარი წლის განმავლობაში ზემო აღნიშნული ფორმით.

✦ მეფის მოადგილის კანცელარიის დირექტორი ისტომინი დეპეშით სთხოვს ქუთ, გუბერნატორს, აცნობოს ბინების მომწესრიგებელი კომისიის მოღვაწეობა თქვენდამი რწმუნებულ გუბერნიაში და თქვენი დასკვნა მათი მოქმედების შესახებ, თუ რამდენათ ასრულებს თავის მოვალეობას.

✦ ქუთ კომერციულ სასწავლებლის დირექტორი ქალთა წრის სახელით უღრმეს მადლობას უცხადებს იმ პირთ რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 21 მარტს გამართულ „ფინჯან ჩაიში“ მათი გვარები მ. დ. სვანიშვილი, რომელმაც შემოსწირა 3 მანეთი და პ ნ ჩაკვეტაძისამ 5 მან.

✦ ჩვენი გაზეთი თავის ხარჯით გაუწერა სოფ დიდი ჯიხაიშის სამკითხველოს მოსე ლეჟავამ

✦ გუშინ, ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ თბილისიდან მიიღო თეატრისათვის შეკრებილი 2500 სკამი.

✦ მთავრობამ გადასწყვიტა სახელმწიფო საშმართველოების მოხელეებზე მოშატებული ჯამაგირი განახორციელოს ძირითადი კანონების 87 მუხლის ძალით სათათბიროს დაუკითხავად.

✦ როგორც გავიგეთ, გურიელის მკვლელობის ვინაობა უკვე გამორკვეულა. მკვლელობა მოუწევია ძმ. ჯიბაძეებს. მათ მიუტანთ 200 მან. ბორტმოქმედთათვის. დოლიძისა, ზეონისა და თეგზაძისათვის, რომელთაც ბორტგანზრახვა კიდეც შესრულეს.

✦ ზანის სოფლის (ზუგ. მაზ.) მასასხლისს დ. ხობიდან შინ დაბრუნებისს, გზაში დაუხვდნ ავაზაკები და წართვეს რვეოლვერი 70 მან დირებული ფული—25 მან. და ფული 10 მანეთი.

✦ 2 მაისს, დამით თბილისის ქუჩაზე წადების მოვაჭრეს ელისე მჭაშავიძეს გაუტეხეს ფანჯარა და წაიღეს 1/2 გირ. ბადაში და ორი ფული ფეხსაცმელები დირებული 20 მან. ქურდები ჯერ ჯერობით ვერ აღმოაჩინეს.

✦ 2 მაისს, დამით, „ბოდეგორნი“ ქუჩაზე მცხოვრებს ნიკოლოზ აბუთიძეს მოუვიდა ჩხუბი ანნა ტუტაშვილთან, ბირველმა მსუბუქად დაჭრა ანნა ტუტაშვილი. დამნაშავე შეიპყრეს.

ნატანების სადგურზე ჟანდარმებმა დააპატიმრეს და ქუთაისს გაისტუმრეს ჟურნალისტი თეოფილე კეკელიძე. კეკელიძე მეორე დღეს გაათავისუფლეს

✦ მგზავრები სჩივიან, რომ სადგურზე მატარებლის მიმოსვლის დროს ეტლს ვერ ვშოულობთო საჭიროა

ურადღების მიქცევა.

დაჯარიმება. ქუთაისის ვიცე გუბერნატორმა პოლკოვნიკმა ვენცელმ, დაჯარიმა შ-დეგი პირნი: სადგურ ახალსენ კის სამხარეულოს გ. მგე ქ-ი მარიამ ივანეს ასული ლისენკო სავაჭროს დროზე დაუკეტავობისათვის 20 მან. ან 7 დღის კიხე და მაგარი სასმე-ების გ-ყ-დვისათვის ხუთი თუმნით ან ერთი თვით ციხე, დ. ხონის მცხოვრები მეპურე პავლე ტაბიძე პურზე ნიხრის მომატებისათვის 10 მან ან 3 დღით ციხე და ადგილობრივი ვაჭრი ივანე თუთბერიძე ღვინის ნებადაურთველათ ვაჭროსისათვის 25 მან. ან 7 დღით ციხე.

10 წლის თავი.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული წარსულ თვის 27 აპრილს შესრულდა 10 წელიწადი, რაც რუსეთში მოწვეულ იქნა სახელმწიფო სათათბირო. სახელმწიფო სათათბირო მოიწვიეს 1906 წ. 26 აპრილს და მას სარჩულად დაედვა „1906 წლის ამბები“ და პორტატურის კატასტროფა პირველ სახელმწიფო სათათბიროში საქართველოდან წარმომადგენლებად იყვენ: **ნოე ჟორდანია ის. რამიშვილი** და თ. დი **გარათაშვილი.** უმაღლესი ბრძანებით სათათბიროს პირველი სხდომა გახსნა სტატს სეკრეტარმა ფრიშემ, რომელმაც მცირე მისალმების შემდეგ დეპუტატებს მოუწოდა აერჩიათ სათათბიროს თავმჯდომარე. დეპუტატებმა, განურჩევლად მიმართულებისა, ერთ ხმად აირჩიეს ცნობილი ს. ა. მურომცევა (მან მიიღო 426 ბარათი).

პირველი სხდომა.

პირველ სათათბიროსი 27 აპრილს ნაშუადღევის 5 საათზე

ს. ა მურომცევმა თავმჯდომრის ადგილი დაიჭირა (დარბაზში ხანგრძლივი ტაშია).

ი. ი. პეტრუნკევიჩი სიტყვას თხოულობს.

ი. ი. პეტრუნკევრჩი ჩვენი კეთილშობლიური მოვალეობა გვიკარნახებს, რომ პირველი ჩვენი შრომა მიეძღვნას იმათ, ვინც თავი შესწირეს ჩვენ სამშობლოს გასანთავისუფლებლად (ტაში) ჩვენს ქვეყანაში ყველა ციხეები დაჭერილი ხალხით არის ავსებული. (საერთოთ ტაში) ჩვენ ათასობით და ათი ათასობით შეგვყურებენ და ცრემლმორეული შველას გვთხოვენ უკიდურესად განაწამები ხალხის შვილები და ჩვენი წმინდა მოვალეობაც არის, რომ ის თავისუფლება, რომელსაც დღეს რუსეთის ხალხი ამოდენა მსხვერპლის გაღებით პოულობს მეტი არ დაუჯდეს მას. (ხანგრძლივი ტაში) ჩვენ ვთხოულობთ მშვიდობიანობას და მთავრობასთან შეთანხმებას. ბ-ნებო, მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მწარე გულის თქმაა-განთავისუფლება ყველა შევიწროებულ-დადაზრალებულისა (ტაში) პეტრუნკევიჩის სიტყვის შემდეგ ლაპარაკობს სათათბიროს თავმჯდომვრე ს ა. მურომცევი.

თავმჯდომ. მურომცევი. სალამი სახელმწიფო სათათბიროს. ვერ მიპოვია შესაფერი სიტყვები. ბ-ნებო, რომ თქვენ გამცნოთ ჩემი უგულითადესი მადლობა იმ ნდობის შესახებ, რომელიც თქვენ მარგუნეთ დღეს და თავმჯდომარეთ ამომირჩიეთ. სახელმწიფო სათათბიროსთვის თავმჯდომრის არჩევა ეს პირველი ნაბიჯია ორგანიზაციულ მუშაობის გზაზე. კეთდება დიდი საქმე, ხალხის სურვილი ფართო გამოხატულებას იღებს, არსდება ხალხის წარმომადგენელთა სამუდამო საკანონმდებლო დაწესებულება. დიდი მოვალეობა გვაწვება ჩვენ, დიდი საქმის სასამსახუროდ ვუსურვოთ ერთმანეთს და პირადათ საკუთარ თავს, რომ ჩვენ გამოგვეჩინოს რაც შეიძლება მეტი ნიჭი და ენერგია იმ ხალხის საკეთილდღეოთ, რომელმაც აგვირჩია და თავის ბედ-იღბალი მოგვანდო. დაე, აწინდელი ჩვენი მუშაობა მიეძღვნას კონსტიტრციის მომხრე მონარქს და ხალხის ბუნებრივ მოთხოვნილებათა განხორციელებას. შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ დამყარებულ წესის მიხედვით იგი ვალდებულია წარუდგეს მეფეს და ამიტომ სათათბიროს სხდომა გადაიდება შაბათისთვის. სხდომა ინიშნება დილის 11 საათისთვის.

შემდეგ თავმჯდომარე შეეხო გარეშე ხალხს რომელნიც სათათბიროს დარბაზში იყვნენ, (ესენი წარმოადგენდენ მოხელეებს და სამხედრო პირებს, რომელთაც მურომცევმა „ვინც მუნდირებში გამოწყობილი იყო მოუწოდა), რომ დარბაზში დაეტოვებიათ. ასე დამთავრდა სახ. სასპირველი დღის სხდომა იმ მღელვარე დროში, რომლისთანა დროჯერ რუსეთის ისტორიას არ ახსოვს, მას შემდეგ განვლო ათმა წელმა და ახლა, როგორც ვიცით, რუსეთში მოღვაწეობს მეხუთე სახ. სათათბიროსხვების ბედი კი მეტად მწარე იყო: ისინი დათხოვნილ იქნა და შემადგენლობა უმეტეს წილად დასჯილნი. პირველი სათათბიროს წევრები ახლაც არიან სასჯელის ქვეშ.

სათათბიროს (როგორც წინანდელებს) უნდათ მოიწვევენ უნდათ გარეკავენ...

ღვაწლი კი სათათბიროსი ამ ათი წლის განმავლობაში, მიუხედავად მისი შევიწროებულად მუშაობისა, მაინც თვალსაჩინოა რუსეთის ცხოვრებისათვის: სათათბირომ შეაყენა რუსეთი განახლებისა და პროგრესის გზაზე, სათათბირომ გამოააშკარავა ზოგიერთი ის უდიდესი ბოროტმოქმედება, რომელიც რუსეთს დაღუპვას უქადდა, სათათბირომ მისცა რუსეთის ცხოვრებას „ევროპეიზმი“-ს ელფერი და სხვ.

მიუხედავათ ამისა, დღეს დღეობით რუსეთში არიან ისეთი პირები, რომელნიც სათათბიროს ამაგს არაფრად სთვლიან და იმ სათათბიროს, რომელმაც არა ერთჯერ გადაარჩინა რუსეთი დაღუპვისაგან, კვლავ დასამარებით ემუქრებიან დემოკრატიას მართებს ანგარიში.

გაუწიოს კაცობრიობის ასეთ მტრებს.

Ser.

სარკოვი.

13 აპრილი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

უნივერსიტეტის ერთი უმთავრესი დარბაზთაგანი გაჭედილია სტუდენტებით. დღეს კენჭის ამოღებაა სტუდენტების მიერ, რომელნიც გაიწვიეს ჯარში. უკვე 1000 სტუდენტამ დის დარჩა გაწვეული

ებრაელის ფიქრი.

III

რუსეთის ანტისემიტები კაცთმძულვარებას კიდევ არ ეშვებიან და სხვადასხვა ცილისწამებას ახვევენ თავზე ებრაელ ერს, მიუხედავათ იმისა, რომ მათ მიერ შეთხზულ ცილისწამებას ყოველგვარი საფუძველი მოკლებული აქვს და სამართლიან კრიტიკას ვერ უძლებს. ამ ჟამათ კიდევ იმეორებს ზოგიერთი მათგანი, რომ „ომი ებრაელების ბრალია“. არა მგონია, ვისაც კი საღი შეხედულება და დაკვირვება აქვს დღევანდელ ცხოვრებაზე, შეცდომაში შევიდეს ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ და ასეთი მძიმე ბრალდება ებრაელებს მოახვიოს თავზე, იმ ებრაელ ერს, რომელიც ყველაზე უფრო დაზარალდენ დღევანდელ მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს. ამ წერილით მკითხველ საზოგადოებას მინდა გავაცნო ებრაელის შეხედულება ომზე

ფრანგმა პაულ დე კოსონიოკმა, ნაპოლეონის გვარევნობის ახლობელმა, ვრცელი წერილი მოათავსა ერთს ფრანგულ გაზეთში, სადაც ამტკიცებს: „უპირატესობა მას ეკუთნის, ვინც ფიზიკურათ ძლიერია, იცის როგორ დაიჭიროს აღვირი უფროსობისა, აქვს უნარი ომისა, ბევრი ძალა ლაშქრის შეგროვებისა და მათი შეიარაღებისა, თუნდაც მას აკლდეს ნიჭი სიბრძნისა და გონიერებისა წიგნებშიო“. მისი აზრით, „დიდი უპირატესობა აქვს მას, ვისაც უსწავლია ხმლის გაშიშვლება ხელით და კონდახის დაცემა თითებით. იმ კაცებისთვის კი, რომლებიც სახლში სხედან გულში ფიქრობენ და მელნით სწერენ—ძალა მელანია და მათი ღონე კალამიო“.

ამ ირონიული სიტყვებით მას უნდოდა შეურაცხეყო ცნობილი ემილ ზოლა: მისი საპასუხო წერილი დასწერა პარიზის უფროსმა რაბინმა ცადოკ აქოენმა, სათაურით: „მელანი თუ სისხლი, ან კალამი თუ თოფი“. ავტორის ფიქრით, სიბრძნეს აქვს ბეჭედი შავი – მელანი, სიძლიერეს კი ბეჭედი წითელი—სისხლი; იბრძვის წიგნი და ხმალი ახლა, ასე გაიძახის ცადოკ აქოენი: „წაიკითხეთ ისტორიის ფურცლები,—რომელმა სახელმწიფომ გასტანა დიდ-ხანს, რომელმაც დაიპყრო მისი მოპირდაპირეები ხმლითა ან თოფით? სად არის ალექსანდრე მაკედონელი? კარლ დიდი? ნაპოლეონის სახელმწიფო? მათი ხმლის ძლიერებით მოირწყო დედა-მიწის პირი, მაგრამ ამ ხოცვა ჟლეტას, არ დაუტოვებია კაცობრიობისათვის არავითარი სახეირო და სამუდამო ნაყოფი: დაძველდა დედა მიწა, გახმა და გავერანდა; დიდ ხანს, დიდ-ხანს ისმოდა დახოცილების კვნესის ხმა. ფრინველი ცისა ძღებოდა მათი ხორცით, ჰაერი იწამლებოდა და მათი სუნით ჩნდებოდა ჭირი. ვინც კი გადურჩა ხმალს, დაიხოცა ჭირით. აი, რა ნაყოფი მოაქვს ხმლისა და თოფის სიძლიერეს.

ოსის რაბინი დ. ბაზეზოვი

(დასასრული ხვალ).

წერილი ლაილაშიდან.

(გაგრძელება იხ. „სამშ.“ № 346)

სამწუხაროდ, დაბა ლაილაში ამ საერთო აღორძინების ფერხულში დღემდისაც ვერ ჩამბულა ის, როგორც დანარჩენი კუთხენი ჩვენის ქვეყნისა. მიზეზი ასეთი ჩამორჩენისა მრავალ ფეროვანია, მაგრამ უმთავრესად-კი პოლიტიკური და სოციალური ძალთა განწყობილების დახურვა ვება და სხვა და სხვაობაა. დაბა ლაილაში დასახლებულია სამი ეროვნება-სარწმუნოების ხალხისაგან: ებრაელები, ქართველები და სომხები. მათი ეროვნულ სარწმუნოებრივ პოლიტიკური ინტერესები ისე შორი-შორს არიან, ვითარცა აღმოსავლეთ-დასავლეთი. არც ერთ პატარა დაბაში სიმდიდრე და სიღარიბე ისე აშკარა და თვალსაჩინო არ არის, როგორც დაბა ლაილაშში .. მაგრამ ამავე დროს არც ერთს ზემო ხსენებულ ეროვნების მდიდარს ერთი მეორისა არა სწამს რა არც ერთს საკითხში. ამავე გზაზე შემდგარან, სამწუხაროდ ამ სამი ეროვნების რიცხვ მრავალი დარიბნიც, რაიც მაჩვენებელია სრულის შეუგნებლობისა და სიბნელისა. საერთოდ-კი მეუჩანურ ჩარჩულ სულის კვეთებითაა ლაილაშის ატმოსფერა გაყდენთილი. აი, სურათი ლაილაშის ცხოვრებისა, სადაც გულშემატკივარსა და რიცხვ-მცირე შეგნებულ მუშაკთ უხდებათ მოქმედება.

ზედმეტი არ იქნება, რომ ლაილაშის კულტურულ საქმიანობისაგან მოვიუვანოთ რამდენიმე უტეუარი მაგალითი: ცაგერიდან ლაილაშს გადმოიტანეს მომრიგებელი მსაჯულის სასამართლო. სასამართლოს შენობა და ადგილი ლაილაშელებმა მთავრობას უსასყიდლოთ დაუთმეს, რაიცა დაჯდა ოცი ათას მანეთზე მეტიც ამ ოანხის გადახდაში მდიდარმა და ღარიბმა ერმა მიიღო მონაწილეობა და უმრავლესობას ზურგიც აუწვა, მაგრამ მაინც გადაიხადეს. ეხლა ვეკითხები ლაილაშელებს: რომელი ნივთიერი და კულტურული სარგებლობა მოიტანა ამ დაწესებულებამ?!? არავითარი გარდა იმისა რომ, მდიდარნი და შეგახმენი თავიანთ ძველსა და ახალს ვექსიდებს ინადებენ, ხოდო ცხოვრებით გადადებულნი სოფლის „ბდაკტნი“ და „მოსე მწერალნი“ ხალეფორთისა და „კლიაოზნიკობის“ მოვევარულნი ახალ-ახალ „სუდენი“ პროტესებს აცნობენ.

ამ ერთი წლის წინად მთავრობამ ლაილაშელებს წინადადება მისცა, რომ უკეთუ ლაილაში ადგილს უფასოდ დაუთმობს და ოთხიოდე ათას მანეთს შემოსწირავს, დაუარსებენ პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებელსო. რამოდენიმე პირი შეეცადა ამ დიდი საქმის განხორციელებას და ფულის მოგროვებასაც შეუდგა .. მაგრამ, ჰოი საკვირველებავ! ვისაც შეძლება ქონდა, ერთი და ორი თუმანი გამოიღო, ზოგმა მაძღარმა და ჩასუქებულმა „დახლიდან“ ცხვირიც არ გამოუო და ასე ჩაიფუშა ეს საშვილიშვილო საქმე.

ეხლა ვეკითხები ლაილაშელებს: პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებელს, სამეურნეო თუ სხვა სპეციალურ განყოფილებით ქონდა თუ არა დიდი მნიშვნელობა ლაილაშისათვის? მე გიპასუხებთ, რომ დიდისაგან დიდი მნიშვნელობა ქონდა ამ ტიპის სასწავლებელს. არას ვიტყვი ზნეობრივად და სწავლა-განათლების სადორძინებლად თუ რა დიდი მნიშვნელოვანია პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი, ვინაიდან ეს თავისთავად ცხადია... მაგრამ ნივთიერად ცოტას შესძენდა დაბა ლაილაშს და მის გარშემო სოფლებს 7—8 მასწავლებელი და 500—600 მოსწავლე ახალგაზდობას? უმნიშვნელო იქნებოდა ლაილაშისთვის 7—8 ინტელიგენტი მასწავლებელი? ეველაფერიც კარგია, მაგრამ შეძლება არა გვაქსო.—მეტეეიან ჩვეულებრივ სიტუვას ლაილაშელები. მე კი დარწმუნებული ვარ. რომელიმე ოფიციალურ დაწესებულებას რომ გაომიტანდენ ლაილაშში. ტუვესაც გაიძრობთ და „არ შეგვიძლიას“ არ იტყვით უმრავლესობა მაინც.

დიაღ! სირცხვილი თქვენ, რომ უგბილო და ბნელ საქმეებისათვის ნემსის კურწშიაც გაძვრებით, ხოდო საშვილიშვილო და კულტურულ საქმეთათვის დიდ კარებშიაც არ შედიხართ ან, პირიქით, ხელსაც უშლით. ერთი მიბრძანეთ: პატარა დაბა ხონში რამ აადორძინა ვაჭრობა-მრეწველობა და სწავლა განათლება თუ არა მრავალრიცხოვან სრვადასხვა ტიპის სასწავლებელმა და კულტურულმა წესებულებებმა? როგორ უნდა აღორძინდეს ვაჭრობა-მრეწველობა, თუ არა სწავლა-განათლება, ახალგაზრა და კულტურული ტოდნა? [illegible] ურნეობა თუ არა ახალი სისტემის სამეურნეო იარაღები და სამეურნეო ტოდნით? და საერთო ცხოვრებამ ეოველ საფეხურზე, ეოველს დარგში, როგორ უნდა წაიწიოს წინ თუ არა ტოდნა, სწავლა-განათლებით, ქვეყნის ამბის გაგებითა და სხვისგან კარგი მაგალითების შეთვისებით.

Leus.

(დასასრული იქნება).

ეროობა ჩვენში.

(იხ. „სამშობლო“ № 347.)

27 აპრილი.

სექციების კრება დაიწყო, თავ. კ. ნ. ავხაზის თავმჯდომარეობით, მეფის ნაცვლის სასახლეში ღამის 8 საათზე. მდივნებად არჩეულ იქმნენ ბ-ნნი ს. მდივანი და თავ. ი. ავაქიძე.

კრებას უნდა გამოერკვია ტიპი ეროობისა.

ქ. ა ვერმიშევმა წინადადება მისცა კრებას წაკითხულ ყოფილიყო ოქმი 1909 წლის საეროობო თათბირისა.

ბ. ა. გოთუა არ დაეთანხმა ვერმიშევს, რადგან აღნიშნულ ოქმის წაკითხვას არავითარი რეალური მნიშვნელობა არ აქვს ამ ჟამად და ითხოვა თავისი მოხსენება წაეკითხა ი. ზურაბიშვილს. ეს წინადადება შეიწყნარეს. ბ-ნი ზურაბიშვილი შეუდგა მოხსენების კითხვას.

ცოტა ხნის შემდეგ კრებას მოხსენდა, რომ დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს ჰსურს კრება ინახულოსო. მთელი კრებული თეთრს დარბაზში გავიდა, საცა მას მიესალმა მისი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და კრებას წაუკითხა ხელმწიფე იმპერატორის დეპეშა. მისმა უმაღლესობამ განაცხადა: დღეიდან ექვი აღარ არის ამიერ კავკასიაში ეროობის განხორციელებისა და თქვენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, რამდენად ნაყოფიერად იმუშავებთო.

დიდი მთავრის სიტყვა აღტაცებით იქმნა მოსმენილი.

შემდეგ კრება ისევ დაბრუნდა თავის დარბაზში და ბ-ნმა ზურაბიშვილმა დააბოლოვა მოხსენება. იგი 1890 წლის დებულებას იცავდა.

გაიმართა კამათი. ლაპარაკობენ შავი ზღვის გუბერნიის წარმომადგენელნი ბ-ნნი უსიპენკო და ლეონტოვიჩი, სოხუმის ოლქისა – მარკევიჩი და ბათომისა ბ-ნი გამხარაშვილი. ხსენებული ორატორები შეეხენ თავიანთ კუთხის ჭირ ვარამს და არკვევდნენ, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან მათთვის ეროობას. ორატორები მიემხრნენ ბ-ნ ზურაბიშვილის მოხსენების დედა აზრს და ამტკიცებდნენ ორ სართულიან ეროობის შემოღების უპირატესობას, ე. ი. საგუბერნიო და სამაზრო ეროობებს. თავ. გ. მ. თუმანოვი, ბ-ნი სააკოკი და ვერმიშევი სამაზრო ეროობის ნაცვლად თხოულობდენ საუბნო ეროობას, ამასთანავე, მათის წინადადებით, ნორმათ მიღებული უნდა იყვეს აგრონომიულად დაყოფვა რაიონისა, და არა ადმინისტრატიული ერთეულები ბ-ნი ჰ. კანდელაკი უპირატესობას აძლევდა წვრილ საეროობო ერთეულებს.

მ. ვ. მაჩაბელი და ბ. ა. გოთუა ამტკიცებენ 1890 წლის დებულების ეროობის უპირატესობას და აგრონომიულ ნორმის წინააღმდეგ ილაპარაკეს. აგრონომიულად ეროობის დაწილადება, ამ ორატორების აზრით, ჯერ უცდელია და არავინ იცის, ის ნაყოფიერი დარჩება თუ საზიანო და ასეთი დაწესებულების თავზე მოხვევას არავითარი საჭიროება არ თხოულობს.

სიგვიანის გამო კამათის გაგრძელება გადაიდვა მეორე დღისათვის. ამავე საკითხზე სალაპარაკოდ ჩაეწერნენ: თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, ბ-ნი თოფჩიბაშევი, დემიდოვი, კ. აბაშიძე, მიქელაძე და სხ

(შემდეგი იქნება)

შაბიამანი და გოგირდი.

უშაბიამნობამ, რომ დიდი შიშის ზარი დასცა ჩვენ ქვეყანას და დიდ საგონებელში ჩაგდო ყველ—ცხადის უცხადესია.

ცხადია ისიც, რომ წასულ წლის უწამლოთ დარჩენილი ვაზი თუ წელ საც უწამლოთ დარჩა, მისი ძირიანფესვიანად გახმობა აუცილებელია.

სამი მეოთხედი მცხოვრებლებისა მხოლოდ-და-მხოლოდ ღვინის მოსავლით საზრდოობს: ყიდულობს პურს, სიმინდს, ტანსაცმელს, ერთი სიტყვით, იკმაყოფილებს უსაჭიროეს საოჯახო მოთხოვნილებას.

შარშანდელი მაგალითით დაშინებული მეევენახენი ადრიდანვე შეეცადენ იმის თადარიგს, თუ როგორ შეეძინათ შაბიამან-გოგირდი ვენახების საწამლებლათ.

ჯერ ისევ ოკტომბერში გამოგვიცხადეს: „მოსკოვის სახალხო ბანკმა თავს იდვა წელს შაბიამანი და გოგირდი მოგვაწოდოს ინგლისიდან ზომიერ ფასებში და ამისათვის დაუყონებლივ წარმოადგინეთ შაბიამანზე ხუთი და გოგირდზე სამი მანეთი დასაკვეთი ფული, ვაჭრებს წელს შაბიამანი აღარ ექნებათ, რადგან სამეურნეო კომიტეტმა ამ საქმისთვის დღემდე რწმუნებული აუკრძალა შაბიამნის შემოზიდვა, რადგან მოსალოდნელია გამეორდეს წასული წლის ისტორია და ფუთზე კვლავ 50—60 მანეთი გადაგვხვდესო“ და სხვა... ეს განცხადებები მიიღო ჩვენმა საკრედიტო და კოოპერატიულ ამხანაგობათა გამგეებმა. მე, თვითონ ამ სტრიქონების დამწერს, დავალებული მქონდა ორი საზოგადოებისათვის გამომეცხადებია და კიდეც მომეკრიბა დასაკვეთი ფული, რაც შევასრულე. მარტო ორ დღეში შემოვიდა 5000 მანეთი.

კარგა ხანია რაც ეს ფულები გაიგზავნა იქ, სადაც ჯერ იყო, მაგრამ საწყალი ხალხის იმედები ჩაილულის წყალს გაყვა... არ მოვიდა შაბიამანი... გაიგზავნა წარმომადგენელი, მოსკოვში, პეტროგრადსა და სხვაგანაც, მაგრამ ხელცარიელი დაბრუნდა.

შაბიამნით დატვირთული გემი ჩრდილოეთის ოკეანეში-ალექსანდროვკასთან, გაყინულა და მთავრობამ ზომები მიიღო მის გამოსატანათო..

ერთი ნაწილი კი ვლადივოსტოკში ჰისულა და იმასაც მაგიდებთო..

გამოგვეცხადა წარმომადგენლის პირით.

ხალხი იკრიბება ყოველ დღე კოოპერატიულ და საკრედიტო ამხანაგობების ბინების გარშემო და ეკითხოვენ ნამდვილ პასუხს გამგეობის წევრებიდან—მოგვივა შაბიამანი თუ არაო? საიმედო პასუხს ვერავინ აძლევს. იმართება კრებები ქუთაისში, ზესტაფონში და სხვაგან. გამოირკვა, რომ ფრიდონოვის ფირმას აქვს გამოტანილი ინგლისიდან 100,000 ფუთი შაბიამანი, რაც სახელმწიფო დეპარტამენტმაც სიმართლეთ აღიარა; მიდგა ჯერი ფრიდონოვზე და სურთ როგორმე ჩამოართვან მას ხელმისაწდომ ფასებში საკმაოა მასაღა პირველი წამლობისათვის მაინც... გაიგზავნა საგანგებოთ არჩეული, სანდო პირებისაგან შემდგარი დეპუტაცია თბილისის, რომელმაც სთხოვა კავკასიის უმაღლეს მთავრობას, ფრიდონოვს ჩამოერთვას შაბიამან-გოგირდი და გადაეცეს ხალხს ხელმისაწდომ ფასებში. მაგრამ აქაც ძალამ თავისი გაიტანა და დეპუტაციის ღაღადისი დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

— აპრილის პირველ რიცხვებში ზესტაფონის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობამ მიიღო სახელმწიფო დეპარტამენტისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ვლადივასტოკში შეგისუდით 500 ფუთ შაბიამანს და 200 ფუთ გოგირდს პირველს ადგილზე 31 მანეთად და მეორეს 10 მანეთად ფუთს და თუ ისურვებთ მოგაწოდებთო.“ ხსენებული ამხანაგობის გამგეობა ერთხანს ვითომც ყოყმანობდა, მაგრამ როცა სხვა საშველი არსაიდან იყო, დაეთანხმა დეპარტამენტის რჩევას.

სადაურია ეს შაბიამანი ანდა, ვისგან არის შესუდული ამის შესახებ ჯერ არაფერი ვიცით. ვაჭრები კი გაიძახიან: „ეგ იმ შაბიამნის ნაწილია, რომელიც მოსკოვის ბანკმა თქვენთვის გამოიწერა და ნაცვლათ ათი მანეთისა დღეს 40 მანეთს და მეტსაც გახდევინებსთო“ და ეს თუ მართალი გამოდგა—შენი მტერია დიდი პასუხის მგებელნი გახდებიან ამ საქმეში დავალებული პირები და უჯობესია ასეთ საიდუმლოებას ახლავე ნილაბი აეხადოს და ყველაფერი გამოააშკარავდეს, თორემ ხალხი თავისას მოითხოვს და შედეგი•ის•იქნება, რომ ამ საქმეში დავალებული პირები ჩარჩ ფრიდონოვთან ერთად დამნაშავენი იქნებიან ხალხის წინაშე

დასასრულ, არ შეიძლება კიდევ ერთს სამწუხარო გარემოებას არ მიექცეს სიზოგადო ყურადღება,—ეს გახლავთ რუსეთში „დონეცის ზაოდში“ ხელოვნურად დამზადებული შაბიამანი, რომელიც ეს ერთი ხანია რაც მოიტანეს ჩვენმა ვაჭრებმა და აწვდიან ხალხს 60-დან 80 მანეთამდე ფუთს, რომელიც, როგორც გამოცხადემული იყო და ჩემი თვალითაც ვნახე, არა თუ მარგებელია ვაზისათვის,—პირიქით ფოთლებს სწვავს და შესხურების მოერე ან მესამე დღეს ახმობს და ყლორტები ძირს სცვივა.

საჭიროა ფრთხილად მოიქცენ მევენახენი ამ წამლის ხმარების დროს და შეეკითხონ მცოდნე პირებს წამლის ავკარგიანობაზე, თორემ შესაძლებელია უწამლობით ისე მოისპოს ჩვენი ვენახები, როგორც ამ უვარგის საწამლებლის ხმარების შემდეგ.

ა. ხარატიშვილი.

რუსეთი.

კერძო სასწავლებელზე

რუსეთის კერძო სასწავლებელთა მზრუნველებს შორის განზრახვაა, შეადგინონ კერძო სასწავლებელთა კავშირი, რომელიც იმოქმედებს ხსენებულ სასწავლებელთა ინტერესის დასაცავად.

სათათბიროს მოლოდინში.

მემარცხენე ნაწილი და პრესა კვლავ დიდი იმედით უყურებს და მოელის 16 მაისს სათათბიროს გახსნას სათათბიროს გახსნის დღე ახლოვდება, მხოლოდ დეპუტატები არც ერთი არაა, თავის ადგილზე, ალბად, მოსწყენიათ თავრიდის სასახლეში თეორიული მსჯელობა.

რუს ებრაელთა შორის.

მოსკოვში ებრაელთა შორის განათლების გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რაბინად აირჩია ი. გაზე ბ. ს. მარეკი სათათბიროს წევრად ნამყოფი და ი. ზ. შტრეინბერგი ნაფიცი ვექილი.

პოლონეთი.

ყაჩაღობა პოლონეთის სამეფოში თითქმის სულ მოისპო, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, ახლა პოლონელებს სიმშილობა აღარ აწუხებთ წელს ყანები ბევრი არ დარჩენილა დაუთესავი.

მდიდრული გამოცემა.

პეტროგრადში ამ მოკლე ხანში იწყებს გამოსვლას ახალი პროგრესიულ მიმართულების გაზეთი, რომელშიაც ახლო მონაწილეობას მიიღებენ ამფიტეატროვი და მისი ამხანაგები. გაზეთს ხუთი მილიონი მანეთის თანხა ჰქონია.

ვასუხად

„ახალ კვალის“ რედაქციას.

თქვენი გაზეთის მეოცე ნუმერში მოთავსებულია წერილი, სათაურით: „სოფლის გაჭირვება“. ამ წერილში, სხვათა შორის ნათქვამია, ვითომც მე, თავადს დ. ბაგრატიონს, შებრძანებიოს „სტრაფიკებისათვის“ გლეხებისთვის ოთეები დაეშინათ, ეცემათ და რამდენიმე კაცი მძიმედ დაეჭრათ და სხვა.

რადგანაც ეს ცნობა ყოველივე სიმართლეს მოკლებულია და არავითარი ამის მსგავსი არ მომხდარა ჩემს მამულში, ამიტომ ვსთხოვ რედაქციას, ან დამისახელოს სოფელი; დღე და დაჭრილ-ნაცემთა ვინაობა, ან არა და გაზეთისავე საშუალებით უარს ჰყოს თავისი ასეთი განცხადება.

მიკვირს, რად დასჭირდა პატივცემულ რედაქციას ასეთი უმართებულო ცილის დაწამებით ჩემი პიროვნების შელახვა და თუ პატ. რედაქციამ არ ინება ჩემი სიმართლის დადგენა სამწუხაროდ, იძულებული ვიქნები მივმართო ოფიციალურ სასამართლოს

დავით ბაგრატიონი.

პროვინციის ცხოვრება.

ს. სადმელი. (რაჭის მაზრა) ამ ბოლო დროს სოფ. სადმელს, თითქოს გამოეფიზლება დაეყო.. აქაური წიგნ საცავ სამკითხველოს საქმეები, შეეარებით. უწინდელზე უკეთეს პირობებშია ჩაყენებული. დღეს აქაურ სამკითხველოში ნახავთ: გაზ „სამშობლოს„, „სახ. ფურცელს“ „მეგობარს“, „Закавк. Рѣчь“-ს და ჟურნ. „ნაკადულს“. დანარჩენი გაზეთები და ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ კი მომავლისთვის არის გამოწერილი. ამ მხრით დიდი მადლობის ღირსია ბ. მელქისედექ კობახიძე, რომელიც უსასყიდლოთ ადევნებს თვალყურს წიგნ-საცავ სამკითხველოს, დიდი ენერგიით ეკიდება მის საქმეებს და სცდილობს გაუმჯობესოს მისი მსვლელობა მადლობის ღირსია აგრეთვე ბ. კირილე ბოჭორიშვილი, რომელმაც შესწირა სამკითხველოს გაზეთი „თანამედროვე აზრი“.

სადმელელ ინტელიგენციას არ შეიძლია მივაწერო სიზარმაცე, მაგრამ ვერც მშრომელთა და ენერგიის მოყვარულთა რიცხვში ჩავსთვლით კარგა ხანია მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილი აქვთ გახსნან კოოპერატიული დუქანი. სიტყვით ყველა იძახის, თითქოს ყველა მსურველია, მაგრამ, საქმით კი ყველანი განზე დგანან მე მგონია, სადმელში არ უნდა იყოს ისეთი ინტელიგენტი, რომელსაც არ ესმოდეს კოოპერატიულ დუქნის მნიშვნელობა სოფლათ. მიუხედავათ ამისა საქმის მოგვარებას ყურადღებას არ აქცევენ ხალხს კი, დღევანდელ სიძვირის გამო, ტყავი ძვრება ადგილობრივ ჩარჩებისაგან ხალხის გულშემტკივარნო, ნუ დავაყოვნებთ კოოპერატიული დუქნის დაარსებას!

კონტუს.

რედაქტორი ი. ცინცაძე.

გამომცემელი ამხან.. „სამშობლო“

ექიმი **მულინი.** ყელის, ცხირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი 10 ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
ფინაგანი ნევრებისა და გენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ 4—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

ამზადებს

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მ საღებ გამოცდებისათვის. პირობების გ გება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძასა. თ.

ექიმი ი. **ჩარეიტოვი** ქალაქ. ავათმყოფს ორდინატორი. ი. იღებს ყანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით, $12^1/_2$—2 საათ. საღ 6—8 საათ.
მისამართი: ლენინის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. ტელეფონი № 135. თ.

ბებია მ. მ. **კოტხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფოლიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიკარაძის № 46, ტელეფონი № 87 14 თ.

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ. დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბა-
11 ლახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2. თ.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 2 მაისიდან ნაჩვენები იქნება

ეორობიევის მთების საიდუმლოება

დრამ, 5 ნაწ. მოსკოვის წარს. ცხოვრ. მონაწილეობენ: ... ბატონ ე. კ. ესტერი, ნ. კრივცოვი, ნ. ხიკოლაევი, ვ. კვახანი, ა. სოკოლოვი, დადგმულია კრივცოვისაგან. მხოლოდ მოზრდილთათვის

ანონსი: ხუთშაბათიდან, 5 მაისიდან **პატე ფურნალი.** მიმდინარე ამბები **და... ყველაფერი ატირებულია... დაცინულ-დამსხვრეულია.** საყურადღებო დრამა ხუთ ნაწ. მონაწ. იღებს ვარშავის მთავრობის თეატრის მსახიობი ტოლი ნეგრი.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ორშაბათიდან, 2 მაისიდან ნაჩვენები იქნება

სისხლის კოშკი.

დრამა 4 ნაწილად ვლ. ბზუმრუდოვის რეჟისორობით. მონაწილეობენ: ვ. ვ. მაქსიმოვი და მ. რ. რეიზენი.

გმადლობ... არ მოგელოდი.

ორიგინალური კომედია ა. ჩეხოვის მოთხრობ.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 5 მაისიდან მხოლოდ მოზრდილთავის **ბოვინის ძრონიკა** 36 მიმდინარე ამბები **ერთი შეისაპნა, მეორე გაიპარსა.** ფარსი 4 ნაწ პროლოგით და ეპილოგით სვეტლოვის, ვერნერის, პანოვის, მურაკოვის, დუნაევის, ნილინისა და სხვათა მონაწილეობით. რეჟისორი ბინ-ტომაშევსკი.

ადგილების ფასი **„ამპირსა“** და **„რადიუმში“**; ლოჟა 85 კაპ, 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ, ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

ქ. ქუთაისში 1 მაისიდან იხსნება სამი თვის

ფრა-კერვის

კერძო კურსები.

მიღება დაიწყება სამ მაისიდან დამლევამდე. პირობების გაგება შეიძლება: ფრანგების ქუჩა სახლი კოსტანოვისა, მასწავლებელ ეკატერინე ალიხანაშვილთან, ნაშუადღევის 3—7 საათ. კვირა უქმეობით დილის 10 საათ. საღამ. 6 საათამდი.

მსურველს შეუძლია სამასწავლებლო ატესტატი მიიღოს.

156 ეგზამენის დაჭერა მოხდება ექსპერტების თანადასწრებით.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებული დიდ ალი

საპნის გასაკეთებელი სოდა

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სიფილისი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიეყვა ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაციდები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაციდებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა სპობს მეწუკეებს, ჩირქის დენას გუმსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს ხიფარშიგის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „ფრაკტიკულ მედიცინის და ბოტანიკის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** საკუთარ აქ მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

თვისი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

კოკულიარული გროშურა იგზავნება უფასოთ.

9—(წლიური)

მსწრაფლმბეჭდავი სტამა ალ. .ბ კოხრეიძის—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან